

მართვისა და კომუნიკაციის საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტი ალტერბრიჯი

სწავლის შედეგების შეფასების სისტემა

განხილულია აკადემიური საბჭოს მიერ ოქმი N4, 28/03/19 წ.
დამტკიცებულია რექტორის 29/03/2019 წ. N ბ/1-01/10 ბრძანებით.

მუხლი 1.ზოგადი დებულებები

საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს.სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი ეფუძნება აკადემიური ხარისხის მიღების შემდეგ ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნართა შეფასებას.ეს მიდგომა რელევანტურია შრომის ბაზრისთვის და ბევრად უფრო მოქნილია მაშინ, როდესაც „მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლას“ და არაფორმალური განათლების სხვა ფორმებს ვიღებთ მხედველობაში.

მუხლი 2.სწავლის შედეგების შეფასების პროცესი

სწავლის შედეგების შეფასება ხდება თანმიმდევრულად და გამჭვირვალედ, დარგის სპეციფიკისთვის დამახასიათებელი პერიოდულობით. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად, პროგრამის შინაარსის და/ან სწავლის შედეგების და/ან შეფასების სისტემის მოდიფიცირების გზით. ამ მიზნით იქმნება სწავლის შედეგების შეფასების შედეგად პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების ანგარიში იმის აღწერით, თუ რა პროგრესს მიაღწია პროგრამამ ან პირიქით.

პროცესი ხორციელდება პროგრამების განვითარების სამუშაო ჯგუფის მიერ, რაც აისახება შესაბამის ოქმებში სახით; პროცესში გაითვალისწინება კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა გამოკითხვის შედეგები.

საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ არსებით ცოდნას, უნარებსა და დამოკიდებულებებს, რომელთა დემონსტრირების საშუალებაც აქვთ კურსდამთავრებულებს პროგრამის დასრულების შემდეგ. იმისათვის, რომ სტუდენტმა მიაღწიოს მისთვის სასურველ შედეგს გონივრულად ეფექტიანი გზით, იგი ჩართული უნდა იყოს სათანადო სასწავლო აქტივობებში,.

პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება შედგება ოთხი ეტაპისაგან:

- პროგრამის სწავლის შედეგების ჩამოყალიბება;
- კურიკულუმის ანალიზი;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება;
- შეფასების შედეგების გამოყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

ა) პროგრამის სწავლის შედეგების ჩამოყალიბება ითვალისწინებს:

- ◆ მისანიჭებელ კვალიფიკაციას;
- ◆ სწავლების საფეხურს;

- ◆ კვალიფიკაციის მინიჭებულ პირის ცოდნა-უნარებს;
- ◆ სწავლის შედეგების რეალისტურობა და გაზომვადობა;
- ◆ შრომის ბაზრის მოთხოვნები, დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი;
- ◆ მსოფლიოში არსებული საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინება.

ბ) **კურიკულუმის ანალიზი** გულისხმობს კურიკულუმის რუკის შედგენას, რაც ნიშნავს, იმ სასწავლო კურსების, აქტივობებისა თუ კვლევითი კომპონენტების განსაზღვრას, რომლებითაც ვითარდება სტუდენტებში პროგრამის სწავლის შედეგები. კურიკულუმის რუკის შედგენის მერე უნდა გაანალიზდეს კურიკულუმი, დადგინდეს, უზრუნველყოფს თუ არა კურიკულუმი პროგრამის სწავლის შედეგების განვითარებას სტუდენტებში. პროგრამის თითოეული სწავლის შედეგისთვის უნდა დადგინდეს სამიზნე ნიშნული.

გ) კურიკულუმის ანალიზის შემდეგ, დგება **სწავლის შედეგების შეფასების გეგმა**, რომელშიც უნდა აისახოს, თუ როგორ შეფასდება პროგრამის სწავლის შედეგები პროგრამის დასასრულს.

სწავლის შედეგების შეფასებისას გამოიყენება როგორც პირდაპირი, ასევე არაპირდაპირი შეფასების მეთოდები; პროგრამის შედეგების შეფასების შესახებ სტუდენტები იღებენ უკუკავშირს, თუ რამდენად მიაღწიეს პროგრამის სწავლის შედეგებს.

პირდაპირი შეფასების მეთოდებია განმავითარებელი (ფორმატული) და განმსაზღვრელი (შემაჯამებელი) შეფასების მეთოდები (წერიითი/ზეპირი გამოცდა, ტესტირება. პროექტი, პრეზენტაცია, რეფერატი, ნაშრომი, ესსე).

განმავითარებელი შეფასება ხორციელდება პროგრამის დასაწყისში ან პროგრამის მიმდინარეობისას. სტუდენტთა აკადემიური მოსწრების შეფასება ეხმარება ლექტორს მიიღოს გადაწყვეტილება სწავლების მიმართულებების შესახებ სასწავლო პროცესის გაუმჯობესების მიზნით. **განმსაზღვრელი შეფასება** აჯამებს სტუდენტის მიერ გარკვეულ დონეზე შესწავლილი საკითხის ცოდნას დროის განსაზღვრულ მონაკვეთში, ჩვეულებრივ, სასწავლო კურსის ან პროგრამის დასრულებისას. ამით ფასდება სწავლებით მიღწეული შედეგი, რომელიც აღწერს თეორიულ და პრაქტიკულ ცოდნა-გამოცდილებას.

არაპირდაპირი შეფასების მეთოდებია: დამსაქმებლების გამოკითხვა, კურსდამთავრებულთა გამოკითხვა, კურიკულუმის ანალიზი, სტუდენტთა გამოკითხვა და სხვა. სასწავლო უნივერსიტეტის ელექტრონული მართვის სისტემის მეშვეობით ხდება მონაცემთა შეგროვება და დამუშავება, რათა განისაზღვროს პროგრამაზე

არსებული სტუდენტების საერთო რაოდენობის რამდენმა პროცენტმა მიაღწია პროგრამის თოთოეულ სწავლის შედეგს და პროგრამის სამიზნე ნიშნულებს.

პროგრამის ერთ-ერთი სამიზნე ნიშნულია-სტუდენტის აკადემიური მოსწრების ნორმალური განაწილება (ე.წ. გაუსის განაწილება) 20 % გადახრის გარეშე (იხ. ქვემოთ დიაპაზონები).

მეორე სამიზნე ნიშნულია პროცენტული განაწილება: თუ სტუდენტთა საერთო რაოდენობიდან დაახლოებით 80 % მიიღო საშუალო შეფასება (B, C, D), ესე იგი სტუდენტმა მიაღწია პროგრამით დაგეგმილ და განსაზღვრულ სწავლის შედეგებს. ყოველივე ეს იძლევა სტუდენტთა პროგრესია/რეგრესიის სურათს.

მუხლივ. აკადემიური მოსწრების შეფასებისა და მონიტორინგის მექანიზმები

სასწავლო კურსის/კურსების/მოდულის სწავლის შედეგების შეფასების ერთ-ერთი ინსტრუმენტია სტუდენტების აკადემიური მოსწრების შეფასება, რომელიც ითვალისწინებს კურსის სპეციფიკას, ჯგუფში სტუდენტების რაოდენობას, სტუდენტის ინდივიდუალურ უნარებს და შედეგების დინამიკას, მიღებულ შეფასებებს, ყოველსემესტრულ საშუალო არითმეტიკულ მეჩვენებლებს (GPA-ს). სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზის შედეგად დგინდება:

- საგანმანათლებლო პროგრამის და ცალკეული საგნების დონე;
- შერჩეული შესასწავლი თემების მართებულობა;
- გამოყენებული სწავლა/სწავლების/შეფასების მეთოდების ადეკვატურობა;
- პერსონალის პედაგოგიური და სამეცნიერო-კვლევითი უნარ-ჩვევები;
- სტუდენტების მომზადების დონე

აკადემიური მოსწრების ანალიზისთვის გამოიყენება ე.წ. უწყვეტი ტიპის ნორმალური განაწილება (გაუსის განაწილება), რომლის მიხედვითაც შემთხვევითი სიდიდე კონცენტრირებულია ერთი მნიშვნელობის ირგვლივ. სტანდარტული განაწილების დიაპაზონებია:

- 10-10 % ნაწილდება A -ფრიადსა (91-100) და E-საკმარის შეფასებაზე (51-60);
- 25-25 % ნაწილდება B -ძალიან კარგს (81-90) D-დამაკმაყოფილებელ შეფასებაზე (61-70);
- 30 % ეთმობა C-კარგ შეფასებას -71-80.

ეს სქემა აღნიშნავს, რომ ყველაზე მაღალქულიანი A (ფრიადი) შეფასების და ყველაზე დაბალი E (საკმარისი) შეფასების მქონე სტუდენტების რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს სტუდენტთა საერთო რაოდენობის 10 %-ს. ყველაზე მეტ რაოდენობას უნდა შეადგენდეს საშუალო აკადემიური მოსწრების მქონე სტუდენტები და შეფასების

მაჩვენებლები უნდა იყოს საშუალოდ 30 %. ამ დიაპაზონიდან გადახრისას უნდა გადაიხედოს სწავლის შედეგები და გატარდეს შესაბამისი ცვლილება, კერძოდ:

- ◆ კრედიტების განაწილება საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების მიხედვით;
- ◆ თემების ადეკვატურობა;
- ◆ სწავლისა და სწავლების ადეკვატური მეთოდების გამოყენება;
- ◆ შეფასების ადეკვატური მეთოდების გამოყენება;
- ◆ სტუდენტების რაოდენობა ჯგუფში;
- ◆ სასწავლო პროცესის ორგანიზება (ლექტორის მომზადების დონე, ლექტორის ლოილური ან მკაცრი მიდგომა);
- ◆ სხვა ფაქტორები.

მუხლი 4. სწავლის შედეგების შეფასების ინდიკატორები

სწავლის შედეგების შეფასება ხდება პერიოდულად და კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით. თუ სასწავლო კურსი ერთსემესტრიანია, მისი შედეგები უნდა შეფასდეს კურსის დასრულების შემდეგ ყველა პროცედურის დაცვით, ხოლო თუ კურსი გრძელდება და არის მინიმუმ 2 სემესტრიანი (მაგალითად უცხო ენა), ის უნდა შეფასდეს სასწავლო წლის ბოლოს, შესაძლებელია კურსების შეჯამებული შეფასება, თუ ისინი წარმოადგენს მოდულს და უნდა შეფასდეს მოდულის დასრულებისთანავე. **გების შეფასება** საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად, რაც გულისხმობს, პროგრამის შინაარსის და/ან სწავლის შედეგების და/ან შეფასების სისტემის მოდიფიცირებას.

საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ინსტრუმენტებია:

- ◆ **პროგრამიდან „განთესვის“ მაჩვენებელი:** პროგრამაზე გამოცხადებულ ვაკანტურ ადგილებზე ჩარიცხულთა და დამთავრებულთა რაოდენობა/თანაფარდობა სრული ციკლის მანძილზე (გარე/შიდა მობილობის, სტატუსის შეჩერება/შეწყვეტის მონაცემების, უცხო ქვეყნის მოქალაქის ჩარიცხვის/დამატების მითითებით);
- ◆ **პროგრამის რაოდენობრივი მდგრადობა** (ჩარიცხულთა და დამთავრებულთა თანაფარდობა)
- ◆ **კურსდამთავრებულთა შემაჯამებელი შეფასების მაჩვენებლები** კვალიფიკაციის მინიჭებისას (ნაშრომის/პროექტის დაცვის შეფასების მაჩვენებლები და გაცემული წარჩინებული/ჩვეულებრივი დიპლომების მიხედვით);
- ◆ **პროგრამის კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი** მინიჭებული კვალიფიკაციით/სხვა კვალიფიკაციით. ეს მონაცემები მიიღება კურსდამთავრებულთა გამოკითხვის/კვლევის/ ანალიზის შედეგად, დამსაქმებელთა გამოკითხვის შედეგებით, კურიკულუმის ანალიზით, სტუდენტთა გამოკითხვით, ანუ არაპირდაპირი შეფასების

მეთოდებით. მონაცემთა ასახვა/დოკუმენტირება ხდება დიაგრამების სახით და პროცენტული მაჩვენებლებით.

ცალკეული პროგრამა შესაძლოა ითვალისწინებდეს წინამდებარე წესისაგან განსხვავებულ ნიშნულებს. საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის განზოგადებული შედეგების შეფასებისა და ანალიზის საფუძველზე, ხარისხის მართვის სამსახური სტუდენტთა საკონსულტაციო და კარიერიერული მხარდაჭერის სამსახურთან ერთად შეიმუშავებს რეკომენდაციებს საგანმანათლებლო პროგრამების მოდიფიცირების, ხარისხის გაუმჯობესებისა და სრულყოფის მიზნით.

მუხლი 5. პროგრამის შედეგების შეფასება

პროგრამის შედეგები ფასდება შემდეგი სტატისტიკური მეთოდის გამოყენებით:

მონიტორინგს ექვემდებარება პროგრამაში მითითებული ძირითადი სავალდებულო სასწავლო კურსები ბაკალავრიატის დონეზე 4 წლიანი, ხოლო სამაგისტრო დონეზე 2 წლიანი ციკლის განმავლობაში. სილაბუსში აღწერილი შედეგ(ებ)ი მიღწეულია იმ შემთხვევაში, როდესაც თითოეული სავალდებულო კურსისათვის მოსწრების შედეგების მიხედვით ჯგუფში დარეგისტრირებულ სტუდენტთა (ჯგუფში არანაკლებ ათი სტუდენტისა) მინიმუმ 80% ფასდება 51 და მეტი ქულით (E, საკმარისი) ეს აღინიშნება როგორც **RI - სილაბუსით განსაზღვრული შედეგ(ებ)ის მიღწევადობის მაჩვენებელი**. სასწავლო კურსზე ერთზე მეტი ჯგუფის არსებობისას, ეს შედეგი გამოითვლება ჯგუფების RI-ის საშუალო არითმეტიკული ჯამური სიდიდით - RIA. პროგრამის თითოეული შედეგის შესაფასებლად ჯგუფდება ის სავალდებულო კურსები, რომელთაც სულ ცოტა ერთი შედეგი აქვთ საერთო. პროგრამა დასახულ შედეგებზე გადის, როდესაც საერთო ნიშნით დაჯგუფებული სასწავლო კურსებისთვის RI/ RIA-ის **ჯამური საშუალო სიდიდე აღემატება 80%-ს**.

5.6 პროგრამის შეფასების შედეგებს ანალიზებს პროგრამის ხელმძღვანელი ხარისხის სამსახურთან მჭიდრო თანამშრომლობის გზით. შემუშავებული რეკომენდაციები წარედგინება პროგრამის ხელმძღვანელს და საჭიროებისამებრ, სკოლის საბჭოს შემდგომი რეაგირებისთვის კონკრეტული გზების შესარჩევად.

მუხლი 6. აკადემიური მოსწრების შედეგების შეფასება

6.1 საგანმანათლებლო პროგრამის თითოეული კომპონენტისათვის სტუდენტების აკადემიური მოსწრების შედეგები ფიქსირდება სასწავლო პროცესის მართვის სისტემის ელექტრონულ საინფორმაციო

6.2 მოსწრების შედეგების მიხედვით, თუკი საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტზე დარეგისტრირებულ სტუდენტთა (ჯგუფში არანაკლებ ათი სტუდენტისა) 30% ფასდება

91-100 (ფრიადი, A) ან 40 ქულაზე ან ნაკლებით (F, ჩაიჭრა), ხარისხის მართვის სამსახური პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად აკვირდება ამ კომპონენტზე მონიტორინგს დინამიკაში პროცესის შეფასების მიზნით.

6.3 მონიტორინგს დაქვემდებარებული კომპონენტზე ერთზე მეტად იგივე შედეგის განმეორებისას საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის ლექტორთან კონსულტაციის საფუძველზე, ახორციელებს სწავლების მეთოდის და თემატიკის, ასევე ბიბლიოგრაფიის კომპონენტების ანალიზს პრობლემის წყაროს იდენტიფიცირების მიზნით. კომპონენტის ხელმძღვანელთან ერთად განისაზღვრება რეაგირების გზები.

6.4 ჩაჭრილ სტუდენტს, დახმარების მიზნით, შეიძლება მიეჩინოს იგივე კომპონენტზე მაღალი მოსწრების სტუდენტი კონსულტაციებისათვის შედეგის გასაუმჯობესებლად. ამგვარი დახმარების გამოყენება ნებაყოფლობითია და ხორციელდება ლექტორის კონსულტაციით სტუდენტთა შორის თანამშრომლობითი სულისკვეთებით.

6.5 დამხმარე სტუდენტის აქტივობის შედეგები შესაძლოა, გამოყენებულ იქნას წახალისების ან სტუდენტური შიდა გრანტის მოპოვების პროცესში შეფასების კრიტერიუმად ან გაიცეს შესაბამისი სერტიფიკატი.

პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმა

ცხრილი 1

№	პროგრამის კომპეტენციები	სასწავლო კურსები/მოდულები							სასწავლო პროცესი/სწავლის მეთოდები	შეფასება
		საგნის დასახელება	საგნის დასახელება	საგნის დასახელება	საგნის დასახელება	საგნის დასახელება	საგნის დასახელება	საგნის დასახელება		
	დარგობრივი კომპეტენციები								ლექცია	წერიტი გამოცდა
	<u>შედეგი 1</u>									
	<u>შედეგი 2</u>			X					სამუშაო ჯგუფი	ზეპირი გამოცდა
	<u>შედეგი 3</u>								სემინარი	დახურული ტესტი
	<u>შედეგი 4</u>	X							პრაქტიკული მეცადინეობა	ღია ტესტი
	<u>შედეგი 5...</u>								საწარმოო/სასწავლო/პროფესიული პრაქტიკა	პრეზენტაცია
	ზოგადი კომპეტენციები							X	ლაბორატორიული	ნაშრომი/პროექტი/რეფერატი
	<u>შედეგი 6</u>									
	<u>შედეგი 7</u>								სხვ.	ქვიზი
	<u>შედეგი</u>	X						X		სხვ.

სწავლის შედეგების რუკა

პროგრამის მიზნები	პროგრამის სწავლის შედეგი 1	პროგრამის სწავლის შედეგი 2	პროგრამის სწავლის შედეგი 3	პროგრამის სწავლის შედეგი 4	პროგრამის სწავლის შედეგი
1					
2					
3					

ცხრილი 3

სასწავლო კურსი	პროგრამის სწავლის შედეგი 1	პროგრამის სწავლის შედეგი 2	პროგრამის სწავლის შედეგი 3	პროგრამის სწავლის შედეგი 4	პროგრამის სწავლის შედეგი 5
1					
2					
3...					